

შპს „ჯენერალ-აუდიტი“
"GENERAL AUDIT" LTD

რეგისტრირებულია რუსთავის საძალაპო სასამართლოს მიერ 26.02.2004წ. რმ. №5/ზ-220
საიდენტიფიკაციო კოდი 216400160 აუდიტორის საკვალიფიკაციო სერთიფიკატი №N6/311
Registered by Court of law of Rustavi 26.02.2004. reg. # 5/ზ-220 Identific code 216400160
Auditor qualification certificate №N6/311
საძარიველო, ძ.რუსთავი 3700, არაკიშვილის ქ. №6/8
6/8 arakishvili str., Rustavi 3700, Georgia

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

**შპს „მარნეული ტვ“-ის
ფინანსურ ანგარიშგებაზე**

წინამდებარე აუდიტორის დასკვნა მომზადებულია შპს „ჯენერალ-აუდიტი“ (აუდიტორული ფირმების რეესტრში რეგისტრაციის №SARAS-F-911879; ბრძანება №84) დამოუკიდებელი აუდიტორის ზაზა ლომიძის მიერ (აუდიტორული საქმნანობის 20 წლის სტაჟი, აუდიტორების რეესტრში რეგისტრაციის №SARAS-A-977639; ბრძანება №85, აუდიტორის საკვალიფიკაციო სერთიფიკატი №N6/311).

დამკვეთის, შესაძლებელი პასუხისმგებლობის საზოგადოება „მარნეული ტვ“-ის (ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა №19, საიდენტიფიკაციო კოდი №234230178) დირექტორის ბატონი შალვა შუბლაძის მომართვისა და ჩვენს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ჩვენარე კომპანიის ბუღალტრული ბალანსის აუდიტი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგებისა და ზარადის ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის აუდიტი, ასევე შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა და სხვა ახსანა-განმარტებები და შენიშვნები იმ საანგარიშგებო დღისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით.

ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ასევე ისეთი შიდა კონტროლის შექმნასა და გამოყენებაზე, რომელიც ორგანიზაციის ხელმძღვანელობის რწმენით, უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მონზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოშობილ არსებით უზუსტობებს. ჩვენ კი გვევალება ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვხატოთ მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ და გავცეთ დასკვნა.



აუდიტს წარემართავდი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვას და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს მტკიცებულებების შემოწმებას ტესტირების საფუძველზე ფინანსური ანგარიშგების თანხებისა და ახსნა-განმარტებების დადასტურების მიზნით. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანად აღნიშნული რისკების შეფასებისას აუდიტორი განიხილა კონსოლიდაციის შედა კონტროლის სისტემას, რომელიც შესაბამისია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენასთან, აღნიშნულს საფუძველზე აუდიტორი გეგმავს აუდიტორულ პროცედურებს, მაგრამ არ გამოხატავს თავის მოსაზრებას კომპანიის შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობასთან მიმართებაში. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანობაში.

გეგვრა, რომ ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტს დასაბუთებულ საფუძველს გააძლევს დადებითი დასკვნის შესაძლებლობა:

დასკვნა: წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს შპს „მარნეული ტე“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო დღისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით;

შპს „ჯენერალ-აუდიტის“

დირექტორი



ზ. დომიძე

30 აპრილი 2018 წ.